სჯშ/ხალი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

32391547221826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261409780

რეგისტრაციის თარიღი

05.10.2026 წ

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38

ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაექვსი წლის ხუთ ოქტომბერი. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ № 38, გამოცხადდა სს **„სუში მანია“-ს** (რეგისტრირებული 07.02.2018 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქუჩისა და კუტუზოვის ქუჩის კუთხე, № 19, საიდენტიფიკაციო კოდი: 405252471) დირექტორი **ნატო კამინსკაია** (დაბადებული 08.11.1988 წელს, მცხოვრები (ზეპირი განცხადებით) მისამართზე: თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 56ა, პირადი ნომერი: 65002011436). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **გვანცა ცატავას** (დაბადებულს 11.09.1985 წელს, პირადი ნომერი: 62001025043), **საზოგადოების** საქმების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B26077111. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ხუთ ოქტომბერს მე, **სს „სუში მანია-„ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 405252471) **დირექტორი ნატო კამინსკაია** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში “მიმნდობი”, ვანიჭებ გვანცა ცატავას (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს”, შემდეგ უფლებამოსილებებს:
- აწარმოოს საზოგადოების სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები, ყველა სასამართლო, სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ყველა უფლებით (მათ შორის საქართველოს სსკ 98-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლებით), რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს, დაზარალებულს მათ შორის იმ უფლებითაც, რომ აღძრას სარჩელი (განცხადება), შეგებებული სარჩელი, შეიტანოს განცხადება, მათ შორის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, სცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, შეცვალოს და/ან გაზარდოს სარჩელის საგანი, დაასრულოს საქმე მორიგებით, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, მიიღოს და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, უარი თქვას გასაჩივრებაზე, გადაიხადოს ბაჟები, საჭიროების შემთხვევაში დაიბრუნოს უკან გადახდილი ბაჟი, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმის განხილვაში ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში; ასევე წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის ქონების მართვის სააგენტოში, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, კერძო, არბიტრაჟში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, არქივებში, მათ შორის სასამართლოს არქივში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროებში, პროკურატურის ორგანოებში, შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო ხაზინაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში, გამგეობაში, საკრებულოში, ნებისმიერ სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში; გამოითხოვოს, წარადგინოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, მოწმობა, ინფორმაცია, გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, მოახდინოს დოკუმენტების ლეგალიზება, აპოსტილით დამოწმება, შეიტანოს განაცხადები, უწყებები, გადაიხადოს გადასახდელები, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ადმინისტრაციული სარჩელის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხილვაში, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან;
- აწარმოოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ნივთზე მშენებლობასთან, ექსპლუატაციაში გაშვებასთან, შესაბამისი ნებართვების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები; წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ

[redacted]რებთან ურთიერთობაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, როგორც თბილისის, ასევე ნებისმიერი სხვა მუნიციპალიტეტის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული განვითარების, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის სამსახურებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქონების ეროვნულ სააგენტოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში; გამოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, ინფორმაციები, პასუხები, ამონაწერები, შეიტანოს განცხადებები, ატვირთოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, პროექტი, შეუკვეთოს და მიიღოს მშენებლობის ნებართვა, არქიტექტურული დავალება, განაშენიანების გენერალური გეგმა, ინდივიდუალური სახლის მშენებლობის პროექტი, შეათანხმოს პროექტები, ნებართვები, ასევე მოიძიოს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი კომპეტენტური ორგანოებიდან, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება/ცვლილება უკვე არსებულ პროექტებში, ასევე სხვა დოკუმენტაციაში, გაუგრძელოს ვადა ვადაგასულ დოკუმენტებს - არქიტექტურულ დავალებას, ნებართვებს, თანხმობებს, პროექტებს, განმეორებით აიღოს ისინი ხელზე, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი პირობები; გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, ატვირთოს ნებისმიერი დოკუმენტი tas.ge-ზე, წარადგინოს განცხადებები და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, აწარმოოს მოლაპარაკებები და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან;

- მოახდინოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ / საზოგადოების მიერ იჯარით აღებულ უძრავ ნივთებში, ელ.ენერგიის შეყვანა, საზოგადოების აბონენტად რეგისტრაცია, მრიცხველების მონტაჟი; წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში, გაზმომარაგების, ელ.ენერგიით მომარაგების, წყალმომარაგების, სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში; გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს მათ ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით, განსაზღვროს ხელშეკრულებების პირობები საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახდელები, მათ შორის კომუნალურები, მიიღოს ინფორმაცია საზოაგდოების სახელზე რიცხული კომუნალური გადასახადების დავალიანების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა სახის საბუთი, ცნობა, ამონაწერი, ნებართვა, თანხმობა აღნიშნულ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია წინამდებარე დავალების შესრულებასთან;
- წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, დაარეგისტრიროს საზოგადოების მონაწილეობით გაფორმებული ნებისმიერი (მათ შორის იჯარის) ხელშეკრულება, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებები, რეგისტრაციის პროცესში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში აღმოფხვრას ხარვეზი და შეასრულოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ნებისმიერი პროცედურა, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ამ დავალებებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იწახება სანოტარო არქივში, ორი კი გადაეცა მიმწდობს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც იწახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B26077111.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507-ე დადგენილების (რომელშიც შესულია ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 30.00 ლარი, დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლი თანახმად, 5,40 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მიმწდობი: [redacted]

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი